ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. რუსთავი
N 47
08/02/2024

47-01-4-202402081627

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში მთლიანად (ჯილეხის დაავადების კერის GPS მონაცემები 41.509103 / 44.711972) ჯილეხის ეპიზოოტიურ კერაში კარანტინის გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების მე-6 მუხლის, საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" მე-13 თავის 53-ე და 55-ე მუხლების, ასევე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურსაკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ", საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს 2024 წლის 7 თებერვლის № 09-12/993 წერილის საფუძველზე:

1. 2024 წლის 8 თებერვლიდან გამოცხადდეს კარანტინი და ჯილეხის მხრივ არაკეთილსაიმედოდ იქნას მიჩნეული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში (ჯილეხის დაავადების კერის GPS მონაცემები 41.509103 / 44.711972), ჯილეხის ეპიზოოტიური კერა 2 კმ რადიუსში, სნეულების აღმოფხვრამდე.
2. ეცნობოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს აღნიშნული კარანტინის გამოცხადება, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "სურსათის ეროვნული სააგენტოს" ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოსთან ერთად განახორციელოს კოორდინირებული მოქმედება ჯილეხის სნეულების აღმოსაფხვრელად, დანართის შესაბამისად.
3. განკარგულება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. N6).

გიორგი დოხტურიშვილი

სახელმწიფო რწმუნებული

ხელმძღვანელობა

https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/47-01-4-202402081627

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭდვა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE